თამბაქოს გადასახადების პოლიტიკის სიტუაციური ანალიზი

ვანო ცერცვაძე

მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულ მიმოხილვაში გაანალიზებულია შემოსავლების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და სხვადასხვა კვლევების მონაცემები საქართველოში თამბაქოს ნაწარმის ბრუნვასთან დაკავშირებით. ანალიზში მოყვანილი მოსაზრებები არ ატარებს მტკიცებულებით ხასიათს. ჩვენი მიზანია თავი მოვუყაროთ არსებულ მონაცემებს და გავაანალიზოთ ისინი თამბაქოს პოლიტიკის ეფექტურობის კუთხით.

რა არის თამბაქოს პოლიტიკის მიზანი?

სახელმწიფო თამბაქოს პოლიტიკა ბოლო წლებია ხასიათდება გადასახადების ზრდის ტენდენციით. აღნიშნულ პოლიტიკას (და არა მხოლოდ საქართველოში) ორი მთავარი მიზანი აქვს, პირველი ესაა თამბაქოს ნაწარმის მომხმარებელთა რაოდენობისა და თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული თანამდევი დაავადებების შემცირება, ხოლო მეორე, საბიუჯეტო შემოსავლების სათანადო დონეზე უზრუნველყოფა, თამბაქოს ნაწარმზე დაკისრებული გადასახადების მობილიზების შედეგად.

თუმცა ეს მეორე მიზანი სადაოა და დროთა განმავლობაში საბიუჯეტო შემოსავლები, რომელიც ახლა ივსება თამბაქოს ინდუსტრიიდან შემოსული თანხებით, შესაძლოა ჩანაცვლდეს სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსული თანხებით - თუ ადამიანები აღარ მოწევენ თამბაქოს და არ გადაიხდიან ფულს სიგარეტში, გამოთავისუფლებულ თანხებს დახარჯავენ სხვა მიმართულებით, დაისვენებენ, ივარჯიშებენ, სხვა სერვისებს მოიხმარენ, დანაზოგს გააკეთებენ. ეს

ყველაფერი ის საქმიანობაა, რომელიც თავის მხრივ იქნება ბიუჯეტში შემოსულობების წყარო.

საქართველოში ორივე მიზნის შესრულება დიდწილად საგადასახადო ინსტრუმენტების საშუალებით ხორციელდება. თამბაქოს ნაწარმზე მოქმედებს როგორც დღგ, ასევე სააქციზო და ადვალური გადასახადები (იმპორტულ ნაწარმზე იმპორტის გადასახადიც).

აღსანიშნავია, რომ თამბაქოს ნაწარმი წარმოადგენს ძლიერი დამოკიდებულების გამომწვევ საქონელს, რის გამოც მისი კონტროლი, მოხმარების ოდენობა, მომხმარებელთა რაოდენობა თუ საბიუჯეტო შემოსავლების ზუსტი პროგნოზირება პოლიტიკის განხორციელების ფარგლებში დამოკიდებულია ამ საქონლის ელასტიკურობის თვისებებზე. ელასტიკურობა, რომელიც ეკონომიკური ტერმინია, ასახავს მოთხოვნის მგრძნობიარობას როგორც ფასზე, ასევე შემოსავალზე და ასევე ჩამანაცვლებლებზე. ამგვარად, საგადასახადო ინსტრუმენტების გამოყენება არაა ერთადერთი ხელსაწყო, რომელსაც ძალუძს ზემოქმედების მოხდენა მოხმარების დონესა თუ შემოსავლებზე.

ზოგადად ცნობილია, რომ თუ თამბაქოს პროდუქტზე მოთხოვნა არაელასტიკურია როგორც ფასის, ასევე შემოსავლების მიმართ. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით, საქართველოში არ ჩატარებულა კვლევები არც ეროვნულ დონეზე და არც ექსპერიმენტულ ჯგუფებში და ჩვენ არ გვაქვს შესაბამისი ელასტიკურობის კოეფიციენტები საქართველოში, რომლებიც მოგვცემდა საშუალებას სწორად დაგვეგეგმა პოლიტიკის შესაძლო შედეგები. მეორეს მხრივ, აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში სახელმწიფო უწყებების მიერ გროვდება შესაბამისი მონაცემები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დანახულ იქნას ძირითადი საბაზრო ტენდენციები საქართველოს თამბაქოს ბაზარზე.

თამბაქოს პროდუქციაზე არსებული მოთხოვნა მჭიდრო კავშირშია არა მხოლოდ კონკრეტული პროდუქტის ფასების ცვლილებასთან, ჩამანაცვლებლების ფასებთანაც.

ეს ნიშნავს, რომ ცალკე აღებულ პროდუქტზე მოთხოვნის ცვლილება ვერ გაანალიზდება მხოლოდ მისი ფასის ცვლილების საფუძველზე.

თამბაქოს ბაზარზე ჩამანაცვლებლების მრავალფეროვანი არჩევანია. დღეისათვის საქართველოში თამბაქოს ბაზარზე მიმოქცევაში არსებული საქონელი შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- ფილტრიანი სიგარეტი
- უფილტრო სიგარეტი
- დასახვევი თუთუნი
- ჩიბუხი მოსაწევი თამბაქო
- სიგარა
- ჩილიმი
- ელექტრონულ სიგარეტი
- გასახურებელი თამბაქო
- არალეგალური ბაზარი

აღნიშნული პროდუქტიდან ტრადიციულად მოხმარების დიდი წილი ფილტრიან სიგარეტზე მოდის. თუმცა საქართველოში (და ზოგადად მსოფლიოში) თამბაქოს პროდუქციაზე დაწესებული გადასახადებისა და ფასების ზრდა ასტიმულირებს ერთის მხრივ იაფი პროდუქტის, ხოლო მეორეს მხრივ მწარმოებლების მხრიდან ახალი ჩამანაცვლებლების წარმოშობასა და ბაზარზე განთავსებას. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში წარმოებული საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრების შედეგად მოთხოვნის ვექტორი გადაიხარა თამბაქოს იაფი გადამუშავების პროდუქტზე და ელექტრო სიგარეტზე. შარშან კი ჩამანაცვლებლებს შორის გამოჩნდა გასახურებელი თამბაქოც.

წარმოიდგინეთ, რომ აქციზის გაზრდის შედეგად ხვალ ფილტრიანი სიგარეტის ფასი გახდება 15 ლარი. რას მოიმოქმედებს მომხმარებელი? ის ჩაანაცვლებს ფილტრიან სიგარეტს თუთუნით, უფილტრო სიგარეტით, ან იმ პროდუქტით, რომელზეც ფასი არ გაზრდილა.

თუ ფასი გაიზრდება მხოლოდ 20 თეთრით, მომხმარებელთა უმრავლესობა სავარაუდოდ დარჩება იმავე პროდუქტზე, რომელსაც უწინ მოიხმარდა.

ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკის განხორციელების დროს შედეგები დამოკიდებულია ერთის მხრივ საგადასახადო ტარიფებზე და საქონლის ელასტიკურობაზე, ხოლო მეორეს მხრივ ჩამანაცვლებლების ფასებზე.

ჩამანაცვლებელი პროდუქტად ასევე მოიაზრება შავ ბაზარზე გამოტანილი უაქციზო თამბაქოს საქონელი. ამ შემთხვევაში სამომხმარებლო არჩევანი დამოკიდებულია ფასთა შორის სხვაობაზე და გემოვნურ თვისებებზე, ისე როგორც ეს ხდება ლეგალურ ბაზარზე არსებულ სხვა ჩამანაცვლებლებთან მიმართებაში, თუმცა მიწოდება ფასის ფაქტორთან ერთად ითვალისწინებს რისკისა და სარგებლის ანალიზს.

უაქციზო თამბაქოს საქონლის მიმწოდებელი რისკის სახით დგას ორი ფაქტორის წინაშე: პირველი ესაა ჩადენილი არალეგალური ეკონომიკური საქმიანობის აღმოჩენის ალბათობა (რა არის შანსი იმისა რომ გამოტანილი უკანანო საქონელი აღმოჩენილი იქნება) და მეორე - როგორია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე (რა სიდიდის ჯარიმის ან ხანგრძლივობის თავისუფლების აღკვეთაა მოსალოდნელი).

ეს ორი ფაქტორი განიხილება უაქციზო თამბაქოს რეალიზაციიდან მისაღებ სარგებელთან მიმართებაში. თუ სარგებელი აჭარბებს აღმოჩენისა და სასჯელის შესაბამის მონეტარულ მნიშვნელობას, მიიღება გადაწყვეტილება უკანონო საქონლის მიწოდებაზე.

მონაცემები

არსებული მეორადი მონაცემები არ გვაძლევს საშუალებას ჩამოვაყალიბოთ თამბაქოს პოლიტიკის არსებული მოდელის თანამიმდევრული აღწერა, რომელიც დაგვანახებს ფასისა და შემოსავლის ელასტიკურობისა და ჩამანაცვლებლების კომბინირებით მიღებულ სავარაუდო ცვლილებებს მომხმარებლების გადაწყვეტილებებში და ამ გადაწყვეტილებების გავლენას მოხმარებული თამბაქოს

პროდუქციის ოდენობასა და საბიუჯეტო შემოსავლებზე. მეორადი მონაცემები, რომელთა გამოყენებაც ჩვენ შეგვიძლია, არის სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია იმპორტირებული თამბაქოს პროდუქციის ფასების შესახებ, შემოსავლების სამსახურის ინფორმაცია აქციზების ოდენობებისა და სააქციზო/ადვალური გადასახადების გადახდის შედეგად ბიუჯეტში შესული თანხების შესახებ, ასევე ინტერნეტში წლების მიხედვით დაცული ინფორმაცია სხვადასხვა თამბაქოს პროდუქტის საცალო ფასის შესახებ.

ბაზარი - ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტები

ქვემოთ ჩვენ მოგვყავს მონაცემები იმის შესახებ თუ როგორ იზრდებოდა საქართველოში 2013-2019 წლებში საგადასახადო განაკვეთები თამბაქოს პროდუქტზე. ამ წლებში 1 კოლოფი ფილტრიანი სიგარეტის აქციზის განაკვეთი 0,6 ლარიდან 1,7 ლარამდე გაიზარდა. რაც შეეხება უფილტრო სიგარეტს, მისი აქციზის განაკვეთი 2013 წელს 0.15 ლარი იყო და მიუხედავად წლების მანძილზე მცირეოდენი ზრდისა, მისი აქციზი მხოლოდ 2019 წელს გაუტოლდა ფილტრიანი სიგარეტის აქციზს 1.7 ლარს. გარდა ფიქსირებული განაკვეთისა, 2015 წლიდან ფილტრიან და უფილტრო სიგარეტებზე ადვალური აქციზის გადასახადი დაწესდა. აღნიშნული წლიდან, სიგარეტები ფიქსირებულ გადასახადთან ერთად, დამატებით საცალო სარეალიზაციო ფასის 5%-ით იბეგრებოდა, რაც 2016 წლიდან 10%-მდე გაიზარდა. 2019 წლიდან კი ადვალურის ნაწილში, ფილტრიან სიგარეტზე აქციზი საცალო სარეალიზაციო ფასის 30%-მდე გაიზარდა. თუ აქვე გავითვალისწინებთ ინფლაციას (საბაზისო წელი 2012=100%), მაშინ ქვემოთ მოცემული ცხრილი#1 ასახავს იმას, თუ როგორ იზრდებოდა გადასახადის კვალდაკვალ საცალო ფასი თამბაქოს პროდუქციაზე (ამ შემთხვევაში სიგარეტზე).

		2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
აქციზი (ლარი)	ფილტრ.		0.6	0.75	0.9	1.1	1.7	1.7	1.7	1.7
ადვალური %					5%	10%	10%	30%	30%	30%
აქციზი (ლარი)	უფილტრ		0.15	0.2	0.25	0.3	0.6	1.7	1.7	1.7
ადვალური %					5%	10%	10%	10%	30%	30%
ინფლაცია		100%	-0.5%	2.5%	6.6%	8.9%	15.5%	18.5%	24.3%	30.7%

ცხრილი 1. გადასახადი და ინფლაცია 2012-2020 წლებში სიგარეტზე

საინტერესოა თუ როგორია საგადასახადო ტვირთის მოცულობა სიგარეტის ფასში. ამ მიზნით აღებულ იქნა 2012 წლიდან დღემდე ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბრენდი და გამოთვლილი იქნა მის საცალო ფასში გადასახადების წილის ოდენობა ცხრილი#1-ში მოყვანილი მონაცემების მიხედვით.



ფიგურა 1. საცალო ფასი და გადასახადის ტვირთი

რას გვიჩვენებს ეს გრაფიკი? როგორ სრულდება მეორე მიზანი ანუ როგორ მიიღწევა საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ეფექტურობა? თავდაპირველად საგადასახადო განაკვეთებმა დაიკავა მაღალი მარჟა პროდუქციის ფასში. თუმცა ბოლო სამი წლის განმავლობაში განაკვეთები არ შეცვლილა. გაიზარდა სიგარეტის ფასი და თუ დააკვირდებით ინფლაციის მაჩვენებლის გათვალისწინებითაც კი ფასის სხვაობა მნიშვნელოვანია. ეს სხვაობა მთლიანად წავიდა ინდუსტრიის ჯიბეში, ხოლო ბიუჯეტს დააკლდა შესაბამისი შემოსავლები.

თუმცა გასული წლების ანალიზით ჩანს თამბაქოს პოლიტიკის ეფექტიც. 2012 წელთან დღეისათვის გადასახადის წილი სიგარეტის პროდუქტში 70%-მდეა გაზრდილი, რაც პრინციპში ჯდება ასოცირების ხელშეკრულების რეკომენდაციებში, რომლის მიხედვითაც საქართველო ვალდებულია 2026 წლისთვის სიგარეტის ერთი

კოლოფი დაბეგროს არანაკლებ 1.83 ევროს ეკვივალენტი ლარის აქციზით დაბეგროს, ხოლო თუთუნის 1 კილოგრამი - 60 ევროს ეკვივალენტით.

შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია თვალი მივადევნოთ იმას, თუ როგორ რეაგირებს საბაზრო მოთხოვნა სიგარეტის გაზრდილ ფასებზე. გამსხვილებული სახით სიგარეტის ბაზარი დაყოფილია ადგილობრივ ფილტრიან, იმპორტულ ფილტრიან და ადგილობრივ უფილტრო სიგარეტების ბაზრად. ვინაიდან აქციზი გაიცემა ერთ კოლოფ სიგარეტზე, ცხრილი#2 აღნიშნავს ბაზარზე რეალიზებული სიგარეტის კოლოფების რაოდენობას.

აქციზი (რ-ბა)	2015	2016	2017	2018	2019	2020
ადგ. ფილტრიანი	41,580,000	26,784,000	13,176,000	540,000		30.027,000
ადგ. უფილტრო	24,040,000	34,996,000	73,727,000	108,431,000	1,735,000	1,972000
იმპ. ფილტრიანი	420,043,104	399,686,400	305,078,410	267,807,600	211,474,800	225,737,000
იმპ. უფილტრო	1,620,800	4,192,600	5,185,800	7,366,000	334,000	1,262,451
სულ	487,283,904	465,659,000	397,167,210	384,144,600	213,543,800	259,000,000

ცხრილი 2. ბაზარზე რეალიზებული სიგარეტის რაოდენობა

ქართული წარმოების ფილტრიანი სიგარეტი 2019 წელს ბაზარზე გაქრა. ასევე კლებულობს იმპორტული ფილტრიანი სიგარეტის ოდენობა და 4.5-ჯერ იზრდება ადგილობრივი უფილტრო სიგარეტის წარმოება-რეალიზება.

რა არის ამის მიზეზი? მოთხოვნის კლების მთავარი ფაქტორი აქ საგადასახადო პოლიტიკა და სიგარეტზე გაზრდილი ფასებია, თუმცა საქმე მხოლოდ ამაში არაა. ადგილობრივ უფილტრო სიგარეტზე მოთხოვნის ზრდაზე და ფილტრიან სიგარეტზე მოთხოვნის კლებაზე, სიგარეტის ადგილობრივი მწარმოებლის მოქნილობამ იმოქმედა. ადგილობრივი წარმოებული სიგარეტი, როგორც ჩამანაცვლებელი, ამ პროცესში, მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ადგილობრივმა წარმოებამ შეძლო თავი აერიდებინა მაღალი სააქციზო და ადვალური გადასახადისგან ბაზარზე სახეცვლილი პროდუქციის გამოტანის გზით - ადგილობრივმა მწარმოებელმა ბაზარზე გაზარდა უფილტრო სიგარეტის რაოდენობა, რომელსაც ფილტრიან სიგარეტთან შედარებით დაბალ ფასში ყიდიდა და ყოველ მყიდველს ფილტრს „საჩუქრად“ აძლევდა. ბუნებრივია, ამგვარი სახეცვლილი ჩამანაცვლებლის ბაზარზე გამოჩენამ მოთხოვნა

იმპორტირებული სიგარეტიდან ადგილობრივ სიგარეტზე გადაქაჩა, შესაბამისად არამომგებიანი გახდა ადგილობრივი ფილტრიანი სიგარეტის წარმოებაც, რომელიც 2019 წელს საერთოდ შეჩერებული იყო.

გრაფიკული სახით სიგარეტის ბაზრის მოცულობა საინტერესო კონტურებს იძენს.



ფიგურა 2. ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტების ბაზარი 2015-2020 წლებში

ფონი აღნიშნულ გრაფიკზე არის მთლიანი სიგარეტის ბაზარი, ხოლო ხაზები გვიჩვენებენ რა ადგილი უკავია ამ ბაზარზე ადგილობრივ/იმპორტულ ფილტრიან/უფილტრო სიგარეტებს. 2018 წელს უფილტრო სიგარეტის აქციზი გაუთანაბრდა ფილტრიანი სიგარეტის აქციზს, ხოლო 2019 წლიდან გათანაბრდა ადვალური გადასახადიც. შესაბამისად, უფილტრო სიგარეტის ფასის ზრდის ტემპმა გადასახადებისა და ინფლაციის გათვალისწინებით გადააჭარბა ფილტრიანი სიგარეტის ფასის ზრდის ტემპს. 2019 წლის ბოლოს სურათი კვლავ შეიცვლა და ამ წლის ბოლოსთვის გაზრდილია მოთხოვნა იმპორტირებულ ფილტრიან სიგარეტზე.

თუთუნი

რა თქმა უნდა, ამ ანალიზის დროს არ უნდა გამოგვრჩეს თამბაქოს კიდევ ერთი პროდუქტი, თუთუნი. თუთუნი ასევე არის ჩამანაცვლებელი პროდუქტი და მასზე მოთხოვნამ მნიშვნელოვნად მოიმატა ბოლო წლებში. ქვემოთ მოყვანილ გრაფიკში წარმოდგენილია იმპორტული სასაქონლო კოდის 2403 ქვეშ გაერთიანებული თუთუნის შემოტანის მაჩვენებლები საქონელში გადახდილი ფასისა და აქციზის მიხედვით.



ფიგურა 3. 2403 კოდით შემოსული თუთუნის და ესენციების იმპორტი (ათასი აშშ$)

თუთუნის ზრდადი დინამიკა 2019 წლის ჩათვლით მიანიშნებს იმაზე რომ ამ პროდუქტზე მოთხოვნის გაზრდა გამოწვეული იყო თამბაქოს სხვა პროდუქციის ფასების მატებით. იმისთვის, რომ თუთუნის როგორც ჩამანაცვლებლის ეფექტი შემცირებულიყო, ამ შემთხვევაშიც, უფილტრო სიგარეტის მსგავსად, მისი დაბეგვრა ასევე დაექვემდებარა ზრდას, 2013 წელს 1 კგ იმპორტირებული თუთუნის აქციზი 20 ლარი ღირდა, რომელიც 2018 წლისთვის 35 ლარამდე გაიზარდა. გარდამტეხი აღმოჩნდა 2019 წელი, როდესაც აქციზი თითქმის გაორმაგდა და 1 კს-ზე 60 ლარი შეადგინა, რის შედეგადაც თუთუნზე მოთხოვნამ მნიშვნელოვნად იკლო 2020 წელს და 2.5-3-ჯერ შემცირდა.

იმისთვის, რომ კიდევ უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ თუთუნის როგორც ჩამანაცვლებლის მნიშვნელობა ადეკვატური იქნება თუ მის წონით ოდენობებს სიგარეტის კოლოფის ეკვივალენტში გადავიყვანთ.

ჩვენი გათვლებით, რომლებიც ეყრდნობა თუთუნის მომხმარებელთა შეფასებებს, 50 გრამი თუთუნისგან მიიღება (თუთუნის საცალო ბაზარზე იყიდება თუთუნის 50 გრ-იანი და 100 გრამიანი პაკეტები) 3.3 კოლოფი სიგარეტი (იგულისხმება 20 ღერიანი სიგარეტის კოლოფი). თუ გავითვალისწინებთ იმპორტიორთა ინფორმაციას, იმპორტირებული თუთუნის საშუალო ფასი 1 კგ-ზე განბაჟებამდე შეადგენს 7.2 აშშ დოლარს. აღნიშნული მაჩვენებელი გვჭირდება იმიტომ, რომ მისი დახმარებით შესაძლებელი გახდეს სტატისტიკის სამსახურის მიერ აშშ დოლარში აღრიცხული იმპორტირებული თუთუნის ოდენობის გადაყვანა კილოგრამებში. გამოვდივართ რა იქედან, რომ სიგარეტის საშუალო მოხმარების ნორმა ერთ მომხმარებელზე დღიურად 1 კოლოფია, შესაძლებელია დადგინდეს მომხმარებელთა რაოდენობა საქართველოში. ცხრილის ბოლო სტრიქონში რაოდენობრივი მაჩვენებლები გაყოფილია 365 დღეზე.

შესაბამისი მანიპულაციის ვღებულობთ 2015-2020 წლებში საქართველოში იმპორტირებული თუთუნის ეკვივალენტს კოლოფებში (ცხრილი#3).

	50 გრ თუთუნის ეკვივალენტი სიგარეტის 3.3 კოლოფი					
	1 კგ თუთუნის საიმპორტო ფასი - $7.00					
თუთუნი	2015	2016	2017	2018	2019	2020
ფასი	2,751,558	3,062,473	6,209,811	12,541,247	18,196,783	7,002,900
კგ	393,080	437,496	887,116	1,791,607	2,599,540	1,000,414
კოლოფის ეკვივალენტი	25,943,264	28,874,748	58,549,647	118,246,041	171,569,667	66,027,343

ცხრილი 3. იმპორტირებული თუთუნის კალიბრაცია სიგარეტის კოლოფების მიხედვით - 50 გრ თუთუნის ეკვივალენტი სიგარეტის 3.3 კოლოფი

თუ გავითვალისწინებთ რომ აქციზი სიგარეტის შემთხვევაში გაიცემა ერთ კოლოფზე, აქედან გამომდინარე შესაძლებელი ხდება ერთმანეთს შევუდაროთ მოხმარებული სიგარეტისა და თუთუნის მაჩვენებლები კოლოფების მიხედვით.

	2015	2016	2017	2018	2019	2020
სიგარეტი	**487,283,904**	**465,659,000**	**397,167,210**	**384,144,600**	**213,543,800**	**259,000,000**
მათ შორის:						

ადგ. ფილტრიანი	41,580,000	26,784,000	13,176,000	540,000		30.027,000
ადგ. უფილტრო	24,040,000	34,996,000	73,727,000	108,431,000	1,735,000	1,972000
იმპ. ფილტრიანი	420,043,104	399,686,400	305,078,410	267,807,600	211,474,800	225,737,000
იმპ. უფილტრო	1,620,800	4,192,600	5,185,800	7,366,000	334,000	1,262,451
თუთუნი (კოლოფის ეკვივალენტი)	**25,943,265**	**28,874,749**	**58,549,648**	**118,246,042**	**171,569,667**	**65,926,666**
სულ	**513,229,184**	**494,535,765**	**455,718,875**	**502,392,660**	**385,115,486**	**325,000,000**
მომხმარებელი	1,406,107	1,354,892	1,248,544	1,376,418	1,055,110	890,410

ცხრილი 4. სიგარეტისა და ეკვივალენტი კოლოფი თუთუნის ბაზარი (რაოდენობა) 2015-2020 წლებში

ცხრილში #4, შეიმჩნევა რომ თუთუნზე მოთხოვნის ზრდა მიმდინარეობს უფილტრო სიგარეტის პროპორციულად. თუმცა 2018 წელს, მას შემდეგ რაც მოიმატა აქციზის გადასახადმა უფილტრო სიგარეტზე, ამ უკანასკნელიდან მოთხოვნა გადავიდა თუთუნის მოხმარებაზე და 2019 წელს მისი მაჩვენებელი, ეკვივალენტი კოლოფის მიხედვით, 50 მილიონით გაიზარდა.

თამბაქოს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტი

თუ დავუშვებთ, რომ ბაზარზე არ არსებობს სხვა ჩამანაცვლებლები (ელექტრო სიგარეტი, გახურებადი თამბაქო, ჩიბუხი, სიგარა, ჩილიმი და სხვ, რომლის მომხმარებელიც თამბაქოს 2019 წლის ეროვნული კვლევის მიხედვით საერთო მომხმარებლების 1.3%-ს შეადგენს), ასევე დროებით ვივარაუდებთ, რომ კონტრაბანდული საქონელი საქართველოს საზღვრებს შიგნით არ ბრუნავს, მაშინ თამბაქოს სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტი აშკარაა და 2012 წლიდან დღემდე თამბაქოს მომხმარებელთა საერთო რაოდენობა 35%-ითაა შემცირებული ხოლო საბიუჯეტო შემოსავლები აქციზისა და ადვალური გადასახადის მიხედვით (დღგ-ს გარეშე) მატულობს.



თუ უფრო ყურადღებით დავაკვირდებით კლების შესაბამის ტენდენციას, დავინახავთ, რომ მომხმარებელთა ცვლილებას 2017-2020 წლებში ნახტომისებური ტენდენციები ახასიათებს. საუბარია იმაზე, რომ თუ ფასების ზრდა მოახდენდა იმ ეფექტს, რასაც ჰქვია მოთხოვნის შემცირება, მაშინ ნარინჯისფერი ხაზი მდოვრედ უნდა წასულიყო ქვემოთ. ამ შემთხვევაში, 2018 წელს ფიქსირდება უფილტრო სიგარეტსა და თუთუნზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი მატება, რაც უფრო მეტად სავარაუდოა, გამოწვეული იყოს იმით, რომ 2017 წელს მოხდა არა მომხმარებელთა შემცირება, არამედ მათი გადართვა ისეთ ჩამანცვლებელზე, რომლის შესახებაც მონაცემი არ მოგვეპოვება. მხედველობაში გვაქვს უაქციზო სიგარეტის მიმოქცევა, რომლის მოცულობის დადგენა საკმაოდ პრობლემურია.

შავი ბაზრის მოცულობაზე სამწუხაროდ მხოლოდ ფრაგმენტულად შეგვიძლია მსჯელობა. ერთის მხრივ, თამბაქოს 2019 წლის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, ვიცით, რომ რესპონდენტთა 3.5% უკანასკნელი 1 თვის განმავლობაში მოიხმარს სიგარეტს ქართული აქციზის გარეშე. მეორეს მხრივ, 2017-2019 წლის შინამეურნეობათა პანელური კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ არალეგალური ბაზრის პროდუქტის მოხმარების განსაკუთრებული აქტივობა არის აფხაზეთის მოსაზღვრე ადგილებში. გარდა ამისა, ჩვენ საინტერესო შესაძლებლობა გვეძლევა დავაკვირდეთ

2019 და 2020 წლების მოხმარების სტატისტიკას. ამ პერიოდში უცვლელი დარჩა ფიქსირებული და ადვალური გადასახადები სიგარეტზე, სამაგიეროდ 2019 წლის ბოლოს გაიზარდა თუთუნის სააქციზო გადასახადი (1 კგ-ზე 60 ლარი). ამ უკანასკნელმა გამოიწვია თუთუნის მოხმარების შემცირება 60%-ით 2020 წელს, საიდანაც დაახლოებით ნახევარმა გადაინაცვლა სიგარეტზე. საერთო ჯამში კი, ჩვენს მიერ ჩატარებული გამოთვლების საფუძველზე, 2020 წელს, მომხმარებელთა ჯამური რაოდენობა 115 ათასით შემცირდა. საითკენ წავიდა აღნიშნული რაოდენობის მომხმარებლის მოთხოვნა? იყო ეს ფასების ზრდის რეალური შედეგი და მომხმარებელმა თავი დაანება თამბაქოს მოხმარებას თუ მათმა ნაწილმა გადაინაცვლა უაქციზო სიგარეტის პროდუქციაზე? ჩვენი აზრით, გარკვეულწილად ეს ცვლილება შესაძლოა აიხსნას შავი ბაზრის ბრუნვის გააქტიურებით. 2019 და 2020 მონაცემების შედარებისას მიღებული სხვაობა შესაძლოა იყოს შავი ბაზრის წილის ინდიკატორი.

დასკვნა-რეკომენდაცია

ჩვენი ანალიზის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ტენდენციები თამბაქოს პროდუქციის ბაზრის თავისებურებების შესახებ, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის გატარების დროს. უმთავრესი შედეგი არის ის, რომ თამბაქოს ბაზარზე სატარიფო პოლიტიკა უნდა ტარდებოდეს თანამიმდევრულად ისე რომ წარმოიშვას ნაკლები სტიმულები სხვა უფრო იაფ პროდუქციაზე გადასასვლელად.

მნიშვნელოვანია თამბაქოს ყველა საქონლის მიწოდებისა და მოხმარების მონიტორინგი, რათა ზუსტად გაკონტროლდეს ფასისმიერი პოლიტიკის შედეგად გამოწვეული სამომხმარებლო გადაწყვეტილებები.

მოხდეს უაქციზო თამბაქოს პროდუქტით ვაჭრობის მკაცრი მონიტორინგი, გაიზარდოს მონიტორინგის რაოდენობრივი მაჩვენებელი და სანქციები ხარჯეფექტიანობის პირობების გათვალისწინებით, ისე რომ გაღებულმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა არ გადააჭარბოს მისაღებ სარგებელს.

დაიწყოს ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების აღსრულება, რაც გულისხმობს სააქციზო განაკვეთების თანმიმდევრულ ზრდას 2026 წლამდე.